სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 24

ქალაქი ქობულეთი 5 მაისი 2016 წელი

ერთი მხრივ სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბნის საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის რევაზ ბასილაძის სახით და მეორე მხრივ ინდ/მეწარმე ინგა კახიძე (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი ინდ მეწარმის ინგა კახიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია კომპიუტერული საქონელის მოწოდება- მომსახურება (შემდგომში მომსახურება) CPV- კოდი- (30200000, 50300000)

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1195(ათასასოთხმოცდათხუთმეტი)ლარს ,
2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქონლის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით მომსახურებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. საქონლის მიწოდების პირობები და ადგილი

3.1. საქონლის მომსახურება მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს (შემსყიდველისაგან მიღებული შეტყობინებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში) 2016 წლის 25 დეკემბრამდე

3.2. საქონლის მომსახურების ადგილია ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა 120 , მიმწოდებლის მაღაზია.

4. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ..
4.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ხუცუბნის საჯარო სკოლის დირექტორი რევაზ ბასილაძე

5. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

5.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში
5.2. ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მიწოდებულ მომსახურებაზე , მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან ან/და სასაქონლო ზედნადების გამოწერიდან 15 სამუშაო დღის ვადაში.
5.3. ანგარიშსწირება განხორციელდება ლარებში.
5.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს ხელშეკრულებაში მითითებული მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. იგი პასუხსმგებელია მოწოდებული მომსახურების ხარისხზე;

6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3 შემსყიდველი ვალდებულია:
6.3.1 უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.
6.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მომწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.
6.5. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მნე მიხეილ ნინიძე

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში მას დაეკისრება პორგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 0.1 % -ის ოდენობით.
7.2. დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილი უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.
7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
8.3. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ
8.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

11. სხვა პირობები

11.1. მომსახურების გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

11.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

11.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

11.4. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

11.5. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

11.6. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან (მხარეთა ხელმოწერის დღიდან) და მოქმედებს 2017 წლის 25 იანვრამდე

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ხუცუბნის საჯარო სკოლა
საქართველო, ქალაქი ქობულეთი
სოფელი ხუცუბანი
ს/კ 246994169
ს.ს „ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი LBRTGE22
GE 26LB01121124410225000

მიმწოდებელი:

ი/მ ინგა კახიძე
საქართველო,ქალაქი ქობულეთი

ს/კ 61004016412
სს,,საქართველოს ბანკი :
ბანკის კოდი BAGAGE22
GE41BG0000000354799300

სკოლის დირექტორი

რ.ბასილაძე

დირექტორი

ი.კახიძე

#	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი	მიწოდების ადგილი	GPV-კოდი
1	მთავარი დედა პლატა	5	140	700	ხუცუბნის სკოლა	302000000
2	მაუსი	15	13	195	ხუცუბნის სკოლა	3020000005
3	კლავიატურა	4	15	60	ხუცუბნის სკოლა	302000000
4	კატრიჯი	2	45	90	ხუცუბნის სკოლა	30200000
5	კომპიუტერის შეკეთება	1	150	150	ხუცუბნის სკოლა	503000000
				1195		

ინდივიდუალ. აჭარის აბერჯოვანეთის რესპუბლიკა
GEORGIA ADJARIA AUTONOMOUS REPUBLIC
INDIVIDUAL ENTERPRISE
61004016412
INGA LAKHIDZE
ინგა ლახიძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ხუცუბანი 5 მაისი 2016 წელი

ვადასტურებთ,რომ ხუცუბნის საჯარო სკოლის მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებებით ი/მ ,,ინგა კახიძე"-სთან კომპიუტერული საქონელის მოწოდება- შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ხუცუბნის საჯარო სკოლის დირექტორი /რევაზ ბასილაძე/